საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის

ოქმი N 2

ქ. თბილისი 30 იანვარი, 2019 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ: ამირხანაშვილი ივანე, ანანიაშვილი იური, ბერულავა გიორგი, ებრალიძე თამარ, ლომინაძე გიორგი, ნადარაია ელიზბარ, ოკრიბელაშვილი ნინო, პაპავა გივი, სალუქვაძე იოსებ, შალიკაშვილი მორის, შენგელაია ალექსანდრე, ხუციშვილი ქეთევან, ჯობავა თამარ.

დღის წესრიგი:

1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მუშაობის რეგლამენტის დამტკიცება;
2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოსოფია“ დოქტორანტ **ლაშა მათიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ისტორია“ დოქტორანტ **შოთა მათითაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ზურაბი ბარათაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
5. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სოციოლოგიის“ დოქტორანტ **ანა დიაკონიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და სოციოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
6. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ეკონომიკის“ დოქტორანტ **გიორგი მიქელაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
7. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ დოქტორანტ **ფატი ძოწენიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
8. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „გეოგრაფია“ დოქტორანტ **დავით სვანაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.
9. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის “პოლიტიკის მეცნიერება“ დოქტორანტ **მაია მანჩხაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

10. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „განათლების მეცნიერებები“ დოქტორანტ **მზექალა აჭაიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.
11. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **მაია გიორბელიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.
12. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ალექსანდრე შარაშენიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მუშაობის რეგლამენტი. აღნიშნა, რომ რეგლამენტის ზოგიერთი პუნქტი შეუსაბამობაშია საბჭოს აპარატის დებულებასთან.
აზრი გამოთქვა: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის უფროსმა დ. კანდელაკმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე საბჭო ვალდებულია რეგლამენტში მიუთითოს აპარატის დებულების ის ნორმები, რომლებიც დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ და წინადადებით მიმართონ საბჭოს აპარატის დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ სასურველია რეგლამენტის დამტკიცება გადაიდოს მომავალი სხდომისათვის, საკითხის საბოლოო გარკვევამდე.
დაადგინეს: რეგლამენტის დამტკიცება გადაიდოს მომავალი სხდომისათვის.

მოიმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოსოფია“ დოქტორანტ **ლაშა მათიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოიმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ასოც. პროფესორის ირაკლი ბრაჭულის ინფორმაცია დისერტაციის - „Vita activa და vita contemplativa: ანტიკური და შუა საუკუნეების პარადიგმები ჯორჯო აგამბენის ფილოსოფიაში“ - ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებისა და აქტუალობის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ ლ. მათიაშვილი საინტერესო მკვლევარია და მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვს გამოქვეყნებული.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივნის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორის, ნინო თომაშვილის ინფორმაცია დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაცვის სხდომას არ ესწრებოდა კომისიის 3 წევრი. კომისიის ყველა წევრმა დოქტორანტი დადებითი ქულით შეაფასა და საბოლოო შეფასება 97 ქულით განისაზღვრა.
აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ ლაშა მათიაშვილის დისერტაციას საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრები ჯერ კიდევ წინა სხდომაზე გაეცნენ და მაშინვე, კომისიის წევრების გამოუცხადებლობის მიუხედავად, ფაკულტეტიდან წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, შესაძლებლად მიიჩნიეს მისთვის ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება. აღსანიშნავია, რომ დოქტორანტს დისერტაციის თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებული აქვს უცხოენოვან მაღალრეიტინგულ ჟურნალებში.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე, დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ლაშა მათიაშვილისთვის** ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოიმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ისტორიის" დოქტორანტ **შოთა მათითაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოიმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორის, მიხეილ ბახტაძის ინფორმაცია დისერტაციის - „ქართული ბერმონაზვნობა IV-VIII საუკუნეებში" - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. აღნიშნა, რომ დოქტორანტი საკმაოდ კარგად ფლობს უცხო ენებს, რამაც დისერტაციის შესრულებისას მისცა სხვა უცხოენოვან მასალებთან შედარების საშუალება. დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის ახალი მოსაზრებები. დისერტაცია შეფასდა 83 ქულით.
აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილი დაინტერესდა, კომისიის წევრებისთვის ხომ არ იყო ცნობილი ნაშრომში პლაგიატის ან გაყალბებული ინფორმაციის თაობაზე.
მოისმინეს: მ. ბახტაძემ აღნიშნა, რომ პლაგიატის თაობაზე სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია არ ფლობდა ინფორმაციას.
აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილმა განმეორებით აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები შოთა მათითაშვილის დისერტაციასაც გაეცნენ ჯერ კიდევ წინა სხდომაზე და შესაძლებლად მიიჩნიეს მისთვის ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება. მას დისერტაციის თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებული აქვს უცხოენოვან მაღალრეიტინგულ ჟურნალში აშშ-ში და ასევე საქართველოშიც.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე, დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **შოთა მათითაშვილისთვის** ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოიმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოლოგია" დოქტორანტ **ზურაბი ბარათაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოიმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორის ივანე ლეჟავას ინფორმაცია დისერტაციის - „გარდამავლობა, ვალენტობა და ზმნის აქტანტური სტრუქტურები შუმერულ ენაში" - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. მან აქცენტი გააკეთა თემის ინტერდისციპლინურ ხასიათზე. აღნიშნა, რომ კომისიის 9 წევრიდან ესწრებოდა - 8. ნაშრომი შეფასდა 100 ქულით.
აზრი გამოთქვა:მ. შალიკაშვილი დაინტერესდა, კომისიის წევრებისთვის ხომ არ იყო ცნობილი ნაშრომში პლაგიატის ან გაყალბებული მონაცემების თაობაზე.

მოისმინეს: ი. ლეჟავამ აღნიშნა, რომ შუმეროლოგიის დარგში პლაგიატი წარმოუდგენელია, მითუმეტეს როცა იკვლევ „ზმნას“ და მისთვის აღნიშნულის თაობაზე არაა ცნობილი.
აზრი გამოთქვა: ე. ნადარაია დაინტერესდა დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული შრომებით, თუ რატომაა დაბეჭდილი მხოლოდ ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალებში?
მოისმინეს: ი. ლეჟავამ აღნიშნა, რომ დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული შრომები აკმაყოფილებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ სამეცნიერო პუბლიკაციების გამოცემისადმი დადგენილ მოთხოვნებს.
აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტი ზურაბი ბარათაშვილს გამოქვეყნებული აქვს საინტერესო პუბლიკაციები და გამორჩეული ახალგაზრდა მკვლევარია.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე, დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ზურაბი ბარათაშვილისათვის** ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოიმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სოციოლოგიის“ დოქტორანტ **ანა დიაკონიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სოციოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოიმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორის თამარ მახარაძის ინფორმაცია დისერტაციის - „შრომისა და დასაქმების პოლიტიკა საქართველოში - ფასადური ინსტიტუტები, საერთაშორისო აქტორები და იდეების ბრძოლა“ - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. აღნიშნა, რომ დისერტაციის დაცვა ჩატარდა წესის სრული დაცვით; ნაშრომი შეფასდა 90 ქულით.
აზრი გამოთქვა: ე. ნადარაია დაინტერესდა დისერტაციაში გამოყენებული ლიტერატურის მითითების წესით და აღნიშნა, რომ დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომში არ უთითებს საკუთარ სტატიებს.
აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი თითქმის ყოველ სხდომაზე ისმება საბჭოს ზოგიერთი წევრის მიერ და ფაკულტეტების წარმომადგენლებს უწევთ განმარტება, რომ დისერატაცია შესრულებულია ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული წესის სრული დაცვით. ჩვენ ამ ეტაპზე არ გვაქვს უფლება დოქტორანტებს მოვთხოვოთ დისერტაციის გაფორმება ახალი წესით და შესაბამისად, საბჭომ უნდა განიხილოს წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომები.
აზრი გამოთქვა: ი. სალუქვაძემ აღნიშნა, რომ დოქტორანტს ნაშრომი გამოქვეყნებული აქვს მაღალრეიტინგულ უცხოენოვან ჟურნალში; დისერტაციაში გამოყენებული აქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი პუბლიკაციები და ასევე გაფორმებული აქვს ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების პირობების სრული დაცვით; შესაბამისად, საბჭოს არა აქვს საფუძველი ედავოს დოქტორანტს აღნიშნულ საკითხზე.
მოისმინეს: თ. მახარაძემ აღნიშნა, რომ ანა დიაკონიძის დისერტაცია სრულად აკმაყოფილებს ფაკულტეტის მიერ დაწესებულ მოთხოვნებს.
აზრი გამოთქვა: ალ. შენგელაია დაინტერესდა უცხოელი რეცენზენტის ვინაობით და მის მიერ დისერტაციის შეფასებით.

მოისმინეს: თ. მახარაძემ აღნიშნა, რომ უცხოელი რეცენზენტი იყო ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი ჟაკ ვილროქსი, რომელსაც ნაშრომთან დაკავშირებით მცირე შენიშვნა ჰქონდა და რეცენზიაში ასაბუთებდა, რომ ნაშრომი მაღალ შეფასებას იმსახურებდა.
აზრი გამოთქვა: თ. ჯობავა დაინტერესდა უცხოელი რეცენზენტის ანაზღაურებით.
მოისმინეს: ი. სალუქვაძემ აღნიშნა, რომ უცხოელი რეცენზენტებისათვის ნაშრომის რეცენზირებისათვის ანაზღაურება არ ხდება.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე, დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ანა დიაკონიძისთვის** სოციოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა" დოქტორანტ **გიორგი მიქელაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილის ინფორმაცია დისერტაციის - „ინვესტიციების ეკონომეტრიკულ-სტატისტიკური მოდელირება (საქართველოს მაგალითზე)" - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ დისერტაცია შეფასდა 91 ქულით. აღნიშნა დოქტორანტის გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, საიდანაც 1 იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალშია გამოცემული.
აზრი გამოთქვა: ალ. შენგელაია დაინტერესდა იმპაქტ-ფაქტორიანი ჟურნალის სახელწოდებით.
მოისმინეს: პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილმა აღნიშნა, რომ ეს ჟურნალია "Theoretical and Applied Economics", 2016 წლის # 4.
აზრი გამოთქვა: ი. ანანიაშვილმა აღნიშნა, რომ დისერტაცია შესრულებულია მაღალ დონეზე და დოქტორანტი იმსახურებდა მიღებულ შეფასებას.
აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ მისასალმებელია ფაკულტეტის მიდგომა დოქტორანტების ნაშრომების მაღალრეიტინგულ უცხოენოვან ჟურნალებში გამოქვეყნების თაობაზე.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე, დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **გიორგი მიქელაძისთვის** ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" დოქტორანტ **ფატი ძოწენიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, პროფ. ნატა ყაზახაშვილის ინფორმაცია დისერტაციის - „ქრონიკული ტკივილის მართვაში არსებული ბარიერების შეფასება და მათი ზემოქმედება სამედიცინო მომსახურების ხარისხზე" - შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, ასევე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების თაობაზე. ნაშრომი საყურადღებოა საზოგადოებრივი ჯანდაცვის თვალსაზრისით, რადგან საკვლევი თემა ეხება ტკივილის მქონე უკურნებელი პაციენტებისათვის ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების (ოპიოიდების) ხელმისაწვდომობის საკითხს. აღნიშნა, რომ ტკივილის მქონე პაციენტი ხვდება მრავალ ბიუროკრატიულ მექანიზმს, რითაც ირღვევა მათი უფლებები. ნაშრომმა მოიცვა როგორც პაციენტების და ექიმების გამოკითხვის შედეგების ანალიზი, ასევე დღეს მოქმედი და ძალაში მყოფი ოპიოიდების ლეგალური ბრუნვის მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზი; შესაბამისად, ნაშრომს გააჩნია არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ პრაქტიკული ღირებულებაც. დოქტორანტ ფატი ძოწენიძეს გამოქვეყნებული აქვს 6 სტატია, მათ შორის 3 მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. მან აღნიშნა, რომ დისერტაცია შეფასდა 97 ქულით.

აზრი გამოთქვა: ე. ნადარაია დაინტერესდა, თუ რა კავშირი იყო აღნიშნულ თემასა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგიას" შორის.

მოისმინეს: პროფ. ნატა ყაზახაშვილმა აღნიშნა, რომ ტკივილი წარმოადგენს ყველაზე მეტად გავრცელებულ სიმპტომს ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებში. ასეთ პაციენტთა მომსახურება ძირითადად ხდება ამბულატორიულად, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში. პირველადი ჯანდაცვა და მისი გამართული მუშაობა და ხელმისაწვდომობა კი წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრიორიტეტს და სფეროს.

აზრი გამოთქვა: საბჭოს წევრმა ნ. ოკრიბელაშვილმა აღნიშნა, რომ დაუშვებელია ადამიანი დღეს იტანჯებოდეს ტკივილით და არ ხდებოდეს ამ საკითხის პრიორიტეტიზაცია სახელმწიფოს მიერ.

აზრი გამოთქვა: საბჭოს წევრი თ. ჯობავა დაინტერესდა დოქტორანტის პროფესიული გამოცდილებით.

მოისმინეს: პროფ. ნატა ყაზახაშვილმა აღნიშნა, რომ ფატი ძოწენიძე მუშაობდა ექიმ ნევროლოგად/ ნეიროონკოლოგად, ხოლო შემდეგ, 2008 -2012 წლებში იგი მონაწილეობდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კოლაბორაციული ცენტრის ვისკონსინის უნივერსიტეტის ტკივილის პოლიტიკის შემსწავლელი ჯგუფის ტკივილის პოლიტიკის საერთაშორისო პროგრამაში. სწორედ ამ პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგების შეფასებამ დაუდო საფუძველი და უბიძგა ფატი ძოწენიძეს განეხორციელებინა ქრონიკული ტკივილის მართვაში არსებული ბარიერების მასშტაბური შეფასება და ჩაეტარებინა კვლევა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" ფარგლებში. შესაბამისი ინფორმაცია ასახულია დოქტორანტის მიერ იმფაქტ ფაქტორის მქონე დაბეჭდილ ერთერთ სტატიაში.

აზრი გამოთქვა: თამარ ჯობავამ აღნიშნა, რომ ქრონიკული ტკივილის მართვის საკითხი და ოპიოიდებზე ხელმისაწვდომობა რომ მართლაც არის მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხი და ამავდროულად ძალიან რთული გადასაწყვეტად. იგი დაინტერესდა, რამდენად შეუწყობს ხელს არსებული კვლევა რაიმე ცვლილებების განხორციელებას.

მოისმინეს: პროფ. ნატა ყაზახაშვილმა განაცხადა, რომ ეს საკითხი მოითხოვს სახელმწიფო პოლიტიკის, განათლებისა და მედიკამენტების ხელმისაწვდომობის თანხვედრას. გარკვეული აქტივობები დოქტორანტისა და მისი თანამოაზრეების მიერ უკვე დაწყებულია და ცვლილებების პაკეტი წარდგენილია საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტში.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე, დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ფატი ძოწენიძისთვის** საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „გეოგრაფია" დოქტორანტ **დავით სვანაძის** სადისერტაციო ნაშრომის („მყინვარების სივრცე-დროითი ფლუქტუაციების ანალიზი მცირე გამყინვარების შემდგომ კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე გეოინფორმაციული და დისტანციური ზონდირების მეთოდების გამოყენებით") დაცვის კომისია და შეახსენა წინა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება. მან გააცნო ფაკულტეტიდან გამოგზავნილი წერილი და დაცვის კომისიის წევრების გამოქვეყნებული პუბლიკაციების სია.

აზრი გამოთქვა: გ. ლომინაძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტიდან გამოგზავნილ წერილში საკმაოდ არგუმენტირებულადაა დასაბუთებული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების კომპეტენცია და ასევე, მათი კვლევის გამოცდილებას ადასტურებს წარმოდგენილი პუბლიკაციების ჩამონათვალი; შესაბამისად, მიაჩნია, რომ წარმოდგენილი კომისია უნდა დამტკიცდეს.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „გეოგრაფია" დოქტორანტ **დავით სვანაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

ა) ზურაბ სეფერთელაძე - თსუ პროფესორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი.

ბ) ლია მაჭავარიანი - თსუ პროფესორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი.

გ) დალი ნიკოლაიშვილი - თსუ პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი.

დ) ლამზირა ლაღიძე - თსუ ასოც. პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი.

ე) ვაჟა ტრაპაიძე - თსუ ასოც. პროფესორი, ტექნიკის დოქტორი.

ვ) გიორგი მელაძე, თსუ ასოც.პროფ, ეკონომიკის დოქტორი.

ზ) გიორგი ბრეგვაძე, თსუ ასისტ.პროფ, გეოგრაფიის დოქტორი.

თ) მარიამ ელიზბარაშვილი - თსუ პროფესორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი.

ი) გივი გავარდაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის "პოლიტიკის მეცნიერება" დოქტორანტ **მაია მანჩხაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის („თურქეთი და სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების საკითხი (სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების თურქული მოდელები)" შემფასებლები და აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ ერთხელ უკვე მოხდა შემფასებლების დამტკიცება, თუმცა უცხოელმა რეცენზენტმა უარი განაცხადა შეფასებაზე მხოლოდ დისერტაციის შემოკლებული ვერსიის საფუძველზე; შესაბამისად, საჭირო გახდა უცხოელი რეცენზენტის ხელახლა დამტკიცება.

აზრი გამოთქვა: გ. ლომინაძე დაინტერესდა უცხოელი ექსპერტების მიერ დისერტაციის რეცენზირების პროცესით - მხოლოდ რეცენზიას გზავნიან თუ თავადაც ესწრებიან დაცვის პროცესს?

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა იოსებ სალუქვაძემ საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ უცხოელი რეცენზენტების მიერ იგზავნება რეცენზიები და მათი ჩამოსვლის მხოლოდ ერთეული შემთხვევებია.

აზრი გამოთქვა: საბჭოს წევრი ალ. შენგელაია დაინტერესდა ახალი რეცენზენტის შერჩევის კრიტერიუმებით.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს განუმარტა რეცენზენტის მიმართ თსუ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნები.

აზრი გამოთქვა: ი. ანანიაშვილმა აღნიშნა, რომ გაეცნო უცხოელი რეცენზენტის პუბლიკაციების ჩამონათვალს და აშკარად მაღალი დონის მეცნიერია. ის სრულად აკმაყოფილებს თსუ-ს მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდნენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის "პოლიტიკის მეცნიერება" დოქტორანტ **მაია მანჩხაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებად:

ა) ზვიად აბაშიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი;

ბ) გიორგი გოგსაძე - თსუ პროფესორი;

გ) ულვიე აიდინი - მანისა ჯელალ ბაიარის (თურქეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების ასოც. პროფესორი, დოქტორი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „განათლების მეცნიერებები" დოქტორანტ **მზექალა აჭაიძის** სადისერტაციო ნაშრომის („ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში") დაცვის კომისია.

აზრი გამოთქვა: ე. ნადარაიამ აღნიშნა, რომ გაეცნო ფაკულტეტიდან გამოგზავნილ წერილს და კომისიის წევრების გამოქვეყნებულ პუბლიკაციათა ჩამონათვალს. მას მიაჩნია, რომ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები აკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს და საბჭოს შეუძლია დაამტკიცოს.

აზრი გამოთქვა: თ. ებრალიძე დაინტერესდა კომისიის წევრების აკადემიური ხარისხებით, კერძოდ, დოქტორანტს უნდა მიენიჭოს განათლების მეცნიერებების აკადემიური ხარისხი, თუმცა კომისიის 3 წევრს აქვს პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიური ხარისხი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს განუმარტა, რომ ეს აკადემიური ხარისხები იდენტურია.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „განათლების მეცნიერებები" დოქტორანტ **მზექალა აჭაიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

ა) ქეთევან ჭკუასელი - თსუ პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) რუსუდან სანაძე -თსუ ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი;

გ) ნინო ჩახუნაშვილი - თსუ ასისტენ-პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი;
დ) ეფემია ხარაძე - თსუ ასისტენ-პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი;
ე) თეა ფეტელვა - საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თსუ-ს ენების ცენტრის მასწავლებელი, ფილოლოგიის დოქტორი;
ვ) ნინო ანთაძე - საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი;
ზ) ლედა ქობალია - სოხუმის უნივერისტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **მაია გიორბელიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია („ინკლუზიური ბიზნესის სოციალური ზემოქმედების შეფასება საქართველოში").
აზრი გამოთქვა: ი. ანანიაშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარმოდგენილი კომისიის ყველა წევრი აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **მაია გიორბელიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:
ა) თსუ პროფესორი - ნუგზარ თოდუა;
ბ) თსუ პროფესორი - დავით ნარმანია;
გ) თსუ პროფესორი - დემურ სიჭინავა;
დ) თსუ პროფესორი - თემურ შენგელია;
ე) თსუ ასოც. პროფესორი - თეა მუნჯიშვილი;
ვ) თსუ ასოც. პროფესორი - გიული ქეშელაშვილი;
ზ) თსუ ასოც. პროფესორი - ნინო ფარესაშვილი;
თ) თსუ ასოც. პროფესორი - ლარისა ყორღანაშვილი;
ი) თსუ ასოც. პროფესორი - ლეილა ქადაგიშვილი;
კ) თსუ ასოც. პროფესორი - ნატო კაკაშვილი;
ლ) სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი - თამთა მიქაბერიძე.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა" დოქტორანტ **ალექსანდრე შარაშენიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია ("ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია").
აზრი გამოთქვა: ი. ანანიაშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოს მიერ შერჩეული კომისიის წევრები აკმაყოფილებენ უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მოთხოვნებს და უწევს რეკომენდაციას დასამტკიცებლად.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ალექსანდრე შარაშენიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

ა) თსუ პროფესორი - რევაზ გველესიანი;
ბ) თსუ პროფესორი - ნოდარ ხადური;
გ) თსუ ასოც. პროფესორი - ინეზესა გაგნიძე;
ვ) თსუ ასოც. პროფესორი - ია ნაცვლიშვილი;
ზ) თსუ ასოც. პროფესორი - მარინა ჩავლეიშვილი;
თ) თსუ ასოც. პროფესორი - მურმან ცარციძე;
ი) თსუ ასისტ. პროფესორი - თამარ ლაზარიაშვილი;
კ) ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - გივი ბედიანაშვილი;
ლ) საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - ნინო დამენია.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე,
ქეთევან ხუციშვილი

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
მორის შალიკაშვილი